ექიმ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის ცენტრალური ევროპის რეგიონალური კონგრესი
29-30 ივნისი 2012 ბათუმი "შერატონი"

2012 წლის 29-30 ივნისს ქ. ბათუმის სასტუმრო შერატონში საქართველოს ექიმ ქალთა ასოციაციის თაოსნობით ჩატარდა ექიმ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის ცენტრალური ევროპის რეგიონალური კონგრესი თემაზე "ქალთა ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები". კონგრესს დაესწრო 240 მონაწილე - სხვადასხვა პროფილის ექიმები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, 21 ექიმი გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან, ავსტრალიიდან, დანიიდან, ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან. კონგრესს დაესწრნენ ექიმ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტები ქ-ნი ვალტრად დიქჰაუზი,(გერმანია) და ქ-ნი სისკა გრიფიოენი (ნიდერლანდები).

There are more male than female miscarriages.

აღსანიშნავია რომ საქართველო არის პირველი და უკანასკნელ დრომდე იყო ერთადერთი ქვეყანა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, რომელშიც 1999წ შეიქმნა ექიმ ქალთა ასოციაიცია. კონგრესს დაესწრო რუსეთში აღნიშნულ ღონისძიებამდე ერთი თვით ადრე შექმნილი ექიმ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი ქ-ნი ოლგა გონჩაროვა.

კონგრესის გაიხსნა უკვდავი სიმღერა მრავალჯამიერით, რომელიც შესრულებულ იქნა ქ. ბათუმის სახელმწიფო გუნდის მიერ. ამის შემდეგ, კონგრესის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს ექიმ ქალთა ასოციაციის პრეზიდენტი, ქალბატონი ნინო ჟვანია, მან მადლობა გადაუხადა კონგრესის მონაწილეებს და სპონსორებს კონგრესში მონაწილეობისთვის. კონგრესის მონაწილეებს მიესალმნენ ექიმ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე პრეზიდენტები: ვალტრად დიქჰაუზი, და სისკა გრიფიოენი, ცნობილი ჟურნალისტი, გაზეთ “Georgian Journal”ის დამფუძნებელი, ბ-ნი ნუგზარ რუხაძე; აგრეთვე აჭარის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საქმეთა მინისტრი ბ-ნი თემურ გაბაიძე, საქართველოს შრომის, ჯანრთელობის და სოციალურ საქმეთა მინისტრი ბ-ნი ზურაბ ჭიაბერაშვილი, რომელმაც დამსწრე ექიმებს მოახსენა სამომავლო გეგმები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში.

1000
Синофор 1000
BERLIN CHEMIE
MENARINI

29/06/2012

კონგრესზე წარმოდგენილი მოხსენებები ეხებოდა: ქალთა ჯანმრთელობის საკითხებს თანამედროვე მსოფლიოში – პროფ. ბეტინა პფლეიდერერი (გერმანია) გენდერული თანასწორობის და მედიცინაში გენდერის სწავლების საკითხებს – ქ-ნები ვალტრად დიქჰაუზი და ბეტინა პფლეიდერერი (გერმანია), ქალთა ჯანმრთელობის საკითხებს ნიდერლანდებში – ქ-ნი სისკა გრიფიოენი; ქალის ჯანმრთელობის საკითხებს ევროპაშიდაბადებიდან გარდაცვალებამდე ევროპაში – ქ-ნი ბაბილ სტრეი პედერსენი, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო მედიკოს ქალთა ევროპის ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი.

ქართველი მეცნიერებიდან აღსანიშნავია პროფესორების: არჩილ ხომასურიძის, დავით მეტრეველის, თამაზ მაღლაკელიძის, მადონა ჯუღელის, ვაჟა აგლაძის, ქეთი გოგილაშვილის მოხსენებები.

კონგრესის ფარგლებში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე "ენდოკრინულ დაავადებათა მიმდინარეობის თავისებურებანი ევროპის ქვეყნებში" რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა დავით მეტრეველმა, ქეთი ასათიანმა, ფრანგმა, გერმანელმა და ნიდერლანდელმა ექიმებმა.

კონგრესთან დაკავშირებით, საქართველოს ექიმ ქალთა ასოციაციამ გამოსცა სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი “ქალთა ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები”, რომლის პირველი ნომერი დაურიგდა კონგრესის ყველა მონაწილეს.

30ივნისს კონგრესის ყველა მონაწილე მიწვეულ იქნა ქ. ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. თეატრში აჭარის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დაუვიწყარ კონცერტზე, რომელმაც აღფრთოვანება დაიმსახურა კონგრესის მონაწილეებში.

კონგრესის მონაწილეები კმაყოფილნი დარჩნენ აღნიშნული ღონისძიებით, როგორც ახალი ცოდნის მიღების, ისე სასარგებლო კონტაქტების დამყარების შესაძლებლობით.

საქართველოს ექიმ ქალთა ასოციაცია, კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას უხდის აჭარისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალურ საქმეთა სამინისტროებს და კონგრესის ყველა სპონსორს აღნიშნული ღონისძიების ორგანიზებისთვის.